განცხადების ფასი: პწკარი პეტიტით 70 კ.

№ 15 — 1917	ფასი	ფელიეტონი მეხუთე
კვირა აპრილის 9	15 კ.	გამოცემისა



ხალხის წარმომადგენელნი

ა. გუჩკოვი—სამხედრო მინისტრი, 2, ა. თ. კერენსკი, შინაგან საქმეთა მინისტრი, 3, კარლო ჩხეიძე, სოციალდემოკრატი, პეტროგრადის მუშების და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, 4, მ. ი. ჯაფაროვი, კავკასიის კომისარიატის წევრი.

ხალხის ბელადებს

1

ალმართეთ დროშა!
გაშალეთ ფრთები!
წინ, არწივებო ახალ ქვეყნისა!
დაე, თქვენი ხმა,—
ერის გულისთქმა,—
ისმოდეს როგორც ქუხილი ცისა!

2

ერის ტრიბუნნო!
აღანთეთ ცეცხლი!
დარეკეთ ზარი მოწოდებისა,—
რომ თქვენს ძახილზე,
ბრძოლის დაფ-დაფზე,
აღზდგეს ბანაკი მეომრებისა!

მოქალაქენო! მსარი მიეცით ახალ მთავრობას ! ზურგი გაუმაგრეთ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ამხანაგებო!

დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია!

თეატრი და რევოლიუცია

აპრილის 9

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ სახემწიფოებრივ-საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველი კუთხე-კუნჭული ძირფესვიანად შეარხია, დამყაყებულ წყობილების დამპალი ფესვები გამოაჩინა, ახალ ცხოვრების გზა გვიჩვენა, ახალი მიზნები დაგვისახა, მწერლობამ ფრთა შეისხა, აზრი გალაღდა.

მხოლოდ თეატრი კი, საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრების ის დარგი, რომელიც რევოლიუციამდე ნებსით თუ უნებლიეთ სარევოლიუციო გზით ვიდოდა, ე. ი. არღვევდა და სცვლიდა ძველ, დამყაყებულ აზროვნებას და ახალს გზას უხსნიდა, დიაღ დღეს ეს თეატრი თითქო დამუნჯებულია, თითქო სიტყვის თქმა ველარ მოუხერხებია.

და იქნება თეატრი ოდესმე ისე ძლიერ საჭირო არა ყოფილიყოს, როგორც დღეს,

მაგრამ ძველებური ენით, ძველებური ხერხით, ძველებური ფერადებით დღეს თეატრს ლაპარაკი ღარ შეჰფერის.

საჭიროა ახალი სიტყვა, ახალი აზრები, ახალი ხერხები, რომ ახალი განცდანი გამოიწვიოს და რევოლიუციონური ხალხის წინსვლას ხელი შეუწყოს.

დღეს თეატრი საზოგადოებრივ აღფრთოვანება წინ კი ღარ უძღვის, როგორც საჭიროა, არამედ კუდშიაც ვერ მისჩანჩალებს.

ამისათვის კი საჭიროა დაკვირვებული დრამატურგი, ახალი ოქროპირი და ჯადომეტყველი, რომ თანამედროვე მრავალფეროვანი ცხოვრებიდან ღირსეული მარგალიტები ამოჰკრიბოს, მაყურებელ-მსმენელთა წინაშე გადაიტანოს და მით რაზმი რევოლიუციონერთა გაძლიეროს, ძველს სამუდამოდ სამარე დაუმკვიდროს, ახალს ახალი ზრახვანი გაუღვიოს...

თეატრს მუდამ დიდი მოვალეობა ჰქონდა: იგი მუდამ საზოგადოებრივ აზროვნებას წინ უძღოდა, მაშასადამე არც დღეს შეჰფერის უკან ჩამორჩენა.

თეატრს შეუძლიან ხალხის ნამდვილ გმირთა აღზრდა, აზროვნების გამოფხიზლება, ნამდვილი რევოლიუციონერობა, მაშ ნუღარ აყოვნებს და მანაც თავისი წვლილი შეიტანოს რევოლიუციის საქმეში!..

იოსებ იმედაშვილი

სოფლის ხალხს

საქართველოს თავისუფალო მოქალაქენო!

მე მოგმართავთ თქვენ ყველას, რომლებიც გუშინ დამამცირებელ სახელს გლეხ სას ატარებდით.

ყური დამიგდეთ!

სოციალდემოკრატიის მოძღვრებაში სხვათა შორის სწერია: ყოველ ერს უფლება აქვს თვით-გამორკვევისაო.

რას ნიშნავს ეს თვითგამორკვევა?

ეი რას.

ყოველ ერს უფლება აქვს, მოითხოვოს ისეთი საშინაო წყობილება, როგორსაც ის თვითონ გამოარკვევს, თვითონ შეიმუშავებს და მოიწონებს—თავისთვის.

მაშ ჩვენ ქართველებმა, რომ ჩვენი ქვე-

ყნისათვის მოვითხოვოთ რამე, ამით ჩვენ სოციალდემოკრატიის მოძღვრებას კი არ დავარღვევთ, არამედ, მოვიქცევით სწორეთ ისე, როგორც ეს მოძღვრება გვირჩევს.

რა უნდა მოვითხოვოთ ჩვენთვის?

სრული გამოყოფა რუსეთისაგან?

ეს ყოვლად შეუძლებელია. რუსეთის ძლევამოსილმა ხალხმა დაამტვრია თვისი ბორკილები და ჩვენი ბორკილებიც. რუსეთის ძლევამოსილმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება და ჩვენც მოგვანიჭა.

ამიტომაც ჭირი და ლხინი ჩვენ რუსის ხალხთან ერთი უნდა გვქონდეს. ჩვენ უნდა ვიყოთ მორჩილი და ერთგული იმ მთავრობისა, რომელსაც რუსის ხალხი აირჩევს, მაგრამ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ უფლება, რომ ჩვენს შინაურს, ჩვენი ქვეყნის, ყოველი ჩვენი კუთხის საქმეებს ჩვენ თვითონ ვაწარმოებდეთ. დანარჩენში ჩვენ ვიქნებით დიდი რუსეთის ერთგული შვილები, ერთგული მოქალაქენი და ამის საკეთილდღეოთ, მისი ღირსების, სახელისა და მთლიანობის დასაცავათ რუსის ხალხთან ერთად დავღვრით ჩვენს სისხლს ისე როგორც დღემდის გვიღვრია და დღესაც ღვრიან ჩვენი ძმები, შვილები, მამები და ნათესავები ბრძოლის ველზე.

ერის ამგვარ უფლებას, რომლის მოპოვებაც ჩვენთვის საჭიროა, რა ჰქვია?

ამას ჰქვია ტერიტორიალური ავტონომია.

თქვენ მეტყვით: რაღათ გინდათ ტერიტორიალური ავტონომია, რაკი რუსეთში ახალი მთავრობა იქნება ხალხის მიერ არჩეული.

ამაზე აი რას გიპასუხებთ.

ძველი რეჟიმი, ძველი წყობილება რითი იყო მავნებელი?

მით, რომ სულს გვართმევდა, ყოველგვარ თავისუფლებას გვისპობდა, მისი პოლიცია ტყავს გვაძრობდა და ავაზაკებს თვითონ ინახავდა! მის სასამართლოში სამართალს ვერა ვპოულობდითო, მეუბნებით თქვენ.

მართალი ხართ, მართალი. დღეიდან ყოველივე ეს მოისპობა.

მაგრამ მარტო ამით იყო ჩვენთვის ძველი წყობილება მავნებელი?

თქვენ სდუმხართ, არაფერს მეუბნებით.

მაშ მე გეტყვით.

ძველი წყობილება სხვათაშორის იმითიც იყო ჩვენთვის მავნებელი, რომ ჩვენი ქვეყნის საქმეებს სამიათასის ვერსის სიშორიდან—პეტროგრადიდან განაგებდენ.

აბა ერთი მიბრძანეთ, სამიათასი ვერსის სიშორიდან განა შეიძლება ჩვენი საქმეების ისე მირთვა, როგორც ჩვენ თვითონ წავმართავთ აქვე?

რასაკვირველია არ შეიძლება!

ჰო და ახალი მთავრობა ჩვენში ხომ არ გადმოსახლდება,—მისი მუდმივი ბინა, მისი სატახტო ქალაქი პეტროგრადია და ახალი მთავრობაც ამიტომ იძლებული იქნება, პეტროგრადიდან აწარმოვოს, განაგოს ჩვენი საქმეები, თვალყური ადევნოს ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ სულითა და გულით ვენდობით ახალ მთავრობას, რომელსაც კი რუსის ხალხი აირჩევს და ენდობა გვიმსახუროს, რითაც-კი დავჭირდებით და რითაც-კი შევიძლებთ, მაგრამ იმ სიშორიდან მისთვის მეტად ძნელია, ჩვენი ქვეყნის ყოველგვარ საჭიროებას გასწვდეს, რადგანაც მარტო ჩვენ ხომ არ ვიქნებით მისი საზრუნავი,—მთელი ამოდენა უზარმაზარი რუსეთი სადაც თითქმის ასოთხმოცი მილიონი ხალხი სცხოვრობს, მას ებარება.

დროებითი მთავრობა არ არის წინადმდეგი. პირიქით, ის ყველასა ჰპირდება ტერიტორიალურ ავტონომიას. მან კიდეც დაუბრუნა ფინლანდიას ავტონომია, რომელიც ძველმა მთავრობამ მოსპო.

მაგრამ ჩვენ როგორ დაგვპირდება, თუ ჩვენვე თითონ არ მოვითხოვთ!

განა თქვენ თითონ არ ამბობთ, ხოლმე: ას წელიწადში ცა ერთხელ გაიღება და ვინც იმას შეხედავს, ბედს ეწევაო.

აი სწორედ ასი წელიწადია, რაც ძველი მთავრობა სულს გვართმევდა. ჩვენი ცხოვრების ცა დღეს გაიღო და, თუ დღესაც ვერ ვეწიეთ ბედს, თუ დღესაც არ გავაგებინეთ რუსის ხალხს, ახალ მთავრობას, რა არის ჩვენთვის საჭირო, მერე ჩვენთვის ვიღა მოცლის?

ჩვენ რაღაც ორი მილიონი თუ ვიქნებით და ახალ მთავრობას ას ოთხმოცი მილიონი ხალხის საქმეები აქვს მოსაგვარებელი!

ტერიტორიალურ ავტონომიას რო მოვიპოვებთ, ვის ხელში იქნება ჩვენი ქვეყნის მართვა გამგეობა?

რასაკვირველია თქვენს ხელში.

როგორც თქვენ გინდათ, ისე აწარმოებთ თქვენს საქმეებს; რასაც მოისურვებთ, იმას გააკეთებთ.

რასაც დაგვავალებს ახალი მთავრობა, იმას შევასრულებთ; თუ დავჭირდით ბრძოლის ველზე, გაგვიყვანს და ჩვენც გავალთ. ხოლო თუ ვინმე გაჰბედა და შეგვავიწროვა, ისევ ახალი მთავრობა დაგვიფარავს, ისე როგორც ის იფარავს ფინლიანდიას.

თქვენი კუთხის საქმეები კი თქვენსავე ხელში იქნება.

თქვენ მტერი ხართ თქვენი საკუთარი თავისა?

ცხადია, არა,—ამას რა დიდი მტკიცება და ფიცი ეჭირვება!

მაშასადამე თქვენს საქმეებსაც კარგად მოაწესრიგებთ და კარგად წაიყვანთ, რაღა თქმა უნდა.

იქნება ვერ გაიგეთ კარგად.

თქვენ ყველანი ამოირჩევთ თქვენს შორის სამი-ოთხი წლის ან მეტის ვადით იმ პირებს, რომლებსაც ენდობით და მათ ჩააბარებთ ყველა საქმეებს. როგორც ახალი მთავრობა აწესრიგებს რუსეთის საქმეებს, ისე უნდა აწესრიგონ და აწარმოვონ თქვენ მიერ არჩეულმა პირებმა თქვენი საქმეები ისინი თქვენს წინაშე იქნებიან პასუხის მგებელნი. თქვენი ერთი კაპეიკი არ დაიკარგება, უბრალოდ არ დაიხარჯება და ყოველივე ისე გაკეთდება, როგორც თქვენ მოისურვებთ, მოიწონებთ და გადაწყვეტთ.

სოფლის თავისუფალ მოქალაქენო, ეს საჭიროა თქვენთვის, თქვენი კეთილდღეობისათვის, თვალები კარგათ გაახილეთ, არ მოსტყუვდეთ, მოითხოვეთ **ტერიტორიალური ავტონომია**. ყველა განაპირა ერების სოფლელები, მუშები ამას თხოულობენ.

თუ ასეთი დრო ხელიდან გაუშვით, არ შეიგნეთ, რომ ავტონომია სწორეთ თქვენთვის არის საჭირო და არ მოიოხოვეთ ის, ცა ხომ ყოველ კვირეს არ გაიღება.

ყველა განაპირა ქვეყნების მუშები, სოფლის ხალხი—თქვენისთანა ხალხი ავტონომიას მიიღებენ, რადგანაც ისინი თხოულობენ ამას; თქვენ კი ისე დარჩებით და შვილისა და შვილის შვილების წყევლა-კრულვას დაიმსახურებთ; ყველა ქვეყნის შეგნებული ხალხი ბრიყვსა და რეგვენს დაგიძახებთ.

(„ხალხის ერთობა„)

სევდის ნაფლეთები...

ზდვის ნაპირს...

მშვენიერი დღე იყო... დასავლეთისკენ გადახრილი მზე კამკამა ზღვაში აბანავებდა ვერცხლის ფერ სხივებს...

დამშვიდებული ზღვა ოდნავ ქანაობდა...

შორს, შორს, შუაგულიდან წამოიჭრებოდა თოვლივით თეთრი ტალღა და ნაპირისკენ მიიჩქაროდა, მაგრამ გზაში გადაეღობებოდა მას მეორე და ორივე ზღვის უფსკრულში ჩაინთქმებოდნენ...

აი, სწორედ იქ, საცა ორთავენი დაიღუპნენ, ისევ წამოიჭრა მეორე ტალღა და ელვის სისწრაფით ნაპირისკენ გამოექანა, მაგრამ მას წინ მსწრაფლ გადაეღობა მეორე და ისევ პირველი სურათი განმეორდა...

ერთი მეორეს ნაპირისკენ არ უშვებდა...

არ უნდოდათ ზღვის საიდუმლო ნაპირებსაც გაეგოთ... მათაც სცოდნოდათ დაფარული ზრახვანი მისნი, რომლებიც მხოლოდ ზღვის შუაგულმა იცოდა...

და თუ რომელიმე ტალღა ვერ მოითმენდა და ნაპირისკენ წამოიჭრებოდა, რომ იქ, მხოლოდ იქ დაეყვირა დაფარული საიდუმლო, მას წინ გადაუდგებოდა მეორე და თავხედ ტალღას უფსკრულისკენ მიაქანებდა, რომ იქ კარი ჩაეკეტათ მისთვის..

დაეს.ჯათ ურჩობისათვის...

ვინ იცის რამდენი რამ იცოდნენ ტალღებმა!..

რამდენის მოწამენი იყვნენ ისინი!..

ზღვავ ბობოქარო!.. აამღელვარე შენი გული...

იქ შენს უფსკრულში დატყვევებული მტკვრის ტალღები ამოატივტივე ზევით... ერ-

თი წუთით გამოაქანე ჩემკენ...

ისინი მეტყვიან მე ყველაფერს...

მათ ყოველივე იციან...

იციან თუ, რა უშველის და რითი შეიძლება განიკურნოს დღეს დაავადებული და მიძინებული სამშობლო ჩემი...

და თუ სხვა ტალღებმა სძლიონ მათ და ჩემამდე არ გამოუშვან, მზის სხივებს მაინც დააბარონ ყოველივე...

უთხარი, რომ მე მუდამ აქ ველოდები მათ პასუხს... მუდამ აქ... ·

ლ. ძიძიგური

პეტრე რუსი

(ნამდვილი სცენა)

— პირველად „ვოინობა", რომ გამოცხადდა,—ასე დაიწყო თავის ამბის ალსარება პეტრე რუსმა: მაშინ კახეთის რკინის გზაზე ვმსახურებდი „ზაპასნი აგენტათ". ოჰ, ღმერთო ჩემო! არასოდეს არ დამავიწყდება კახური ღვინო. რა მშვენიერებაა,—სთქვა და თვალებმა სიხარულისაგან ციმციმი დაუწყეს: ისიც მუქთად.

— როგორ თუ მუქთად?—შევეკითხე გაკვირვებით.

— როგორ და სრულიად უბრალოდ: კახეთის რკინის გზით, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი ღვინო გააქვთ: გაგზავნა ჩემ ხელში იყო. პირველად მე უნდა მოვქცეოდი ტიკს ქეჩოზე,—„ტაკსა" ასეთი იყო: თითო ტიკზე ვედრო ღვინო და ხუთი მანეთი ფულად. ვინც ამ „ნალოგს" არ გადაიხდიდა, მისი ღვინო გაგზავნას ვერ ეღირსებოდა. მახსოვს ერთხელ, ერთი გლეხი გაჭირვეულდა, არ უნდოდა „ბეგრის" გადახდა. მისი ტიკები დიდხანს ეწყო, კიდევაც მოძმარდა და ვგონებ ძმარად გაიყიდა... ახ, დროებავ!—დაათავა პეტრემ, თავი ჩაღუნა, ალკოგოლისაგან მობრეცილი ცხვირი და დანაოჭებული სახე მწარედ მოინაღვლიანა. სხვაც ბევრი რამ მახსოვს ჩემს ახალგაზრდობაში,—განაგრძო ისევ პეტრემ:—„დეისტვიტელნი ვოენი" სამსახურის დროს „კავალერიაში" ვმსახურობდი. ერთხელ, აი, ამისთვის,—პეტრემ საყელოზე ხელები მიიცაცუნა: ფულები შემომაკლდა, მიკიტნებიც აღარ მენდობოდენ, რადგანაც ბევრი მემართა მათი, ავდექი და ერთ „სალდათს" ცხენი გაუყიდე ჩალის ფასად. საწყალი სასტიკათ დასაჯეს, „რაპორტი" თვითონ დავწერე, ჩემზე იქვს, აბა, ვინ მოიტანდა. იაპონიის ომშიაც მივიღე მონაწილეობა და, აი, ეს ჯვარი იქ მივიღე გმირობისათვის.—პეტრემ გულზე ამაყად დაიხედა და წმ. გიორგის ჯვარს დაუწყო ხელით ქანაობა, თუმც კაცმა სიმართლე უნდა სთქვას ბევრი სიგმირე არა ჩამიდენია იაპონიის ომში... ამდენ ხანს ასე მოვატანე, ახლა-კი, ახლა-კი, ახლა აღარ იქნება ჩემი საშველი, უსათუოდ „არესტანტი როტას" მომცემენ, მერე რისთვის? 47 ფუთი შაქრისთვის და 1000 ფუთი ქერისთვის. ამ უბრალო საქმისთვის კაცი უნდა დაისაჯოს!—თან გაბრაზებულმა პეტრემ წინ და უკან დაიწყო სიარული.

— ციხე შიგნიდან გატყდება,—განაგრძო ისევ პეტრემ: ეს ყველაფერი ვასილა „დენშჩიკის" ბრალია, იმის მეტმა ჩემი საიდუმლო არავინ იცოდა, მერე რა დაუშავე? გირვანქა შაქარზე 25 კაპ. ვაძლევდი, ორი მანეთი მე მრჩებოდა, მეტი რა უნდოდა?—ერთი რუსულათაც შეუკურთხა პეტრემ თავის „ურჩ" „დენშჩიკს": არ ენდოთ, არა, არ დაგინდობენ...—ოხ, ღმერთო ჩემო, რაღა უთხრა ჩემს ცოლშვილს? მერე იცით სად შევჭამე ის ფულები? აქ სასტუმრო „საჩინოში", თქვენს კაცს რომ უჭირავს... დამეხმარეთ, ღვთის გულისათვის თქვენ, როგორც ჩემს მოადგილეს, ბევრი რამ შეგიძლიათ! საქმეც თქვენა გაქვთ მონდობილი, აჩვენეთ უფროს „ვედომოსტში", რომ ვითომ შაქარი ცოტაა გაფლანგული, ქერი სულ არა.

პეტრე საცოდავად დაიღრიჯა, ვინც მისი ჩადენილი ოინები არ იცოდა, მართლა შეებრალებოდა.

— არა, ბ-ნო პეტრე თედორეს ძევ, ამ შემთხვევაში შველა შეუძლებელია; თვითონ მოგეხსენებათ, ძველი ნამსახური ბრძანდებით, თუ რა ძნელია სახელმწიფო ქონების მოპარვა; ასეთ შემთხვევებში კანონი მკაცრია; ეს ასეც უნდა იყოს:—ყოველი ბოროტ-მოქმედება ალაგმული უნდა იქნეს და ბოროტ-მოქმედი ღირსეულად დასჯილი; მე ძალიან მე-

ბრალეის ადამიანი, შეძლებისადა გვარად დახმარებისათვისაც მზადა ვარ, მაგრამ მაპატიეთ, თუ ასეთ საქციელს ხელს ვერ დავაფარებ. ამ ლაპარაკში პეტრე რუსმა ახლო მდგომ კარადიდან „სპირიდონით“ სავსე ბოთლი გამოიღო და დააწყებია ყუქყუქი; დიდხანს იყო ჩაკონებული პეტრეს ტუჩები ბოთლის პირს, კაცს ეგონებოდა ორი დიდი ხნის უნახავი მიჯნური ერთმანეთს შეჰხვედრია და ტკბილად ჩაჰკონებიაო; ბოლოს, როგორც იქნა, მოიძღო გული და ქლოშინით განაგრძო ლაპარაკი:—მაშ ასე, თქვენის აზრით, აღარა მეშველება-რა? ვენაცვალე ამის მამგონს, დარდების გამქარვებელია,—სთქვა და თან თვალი გადაავლო კარადას, სადაც თავის საყვარელი სითხე ეგულებოდა.—არა, კარგი სიზმრები მაქვს, განაგრძო ისევ შეზარხოშებულმა პეტრემ; გუშინ მკითხავსაც ვაკითხვინე, იმედი მომცა—თანაც მითხრა: ერთი კაცი თქვენ მეგონეთ, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი თქვენს გულკეთილობაში.

არ ვიცი ჩემი გულის მოსაგებად ამბობდა ამ სიტყვებს, თუ მართლა სჯეროდა მკითხავის გულუბრყვილო რუსს,—ან რა ჩავიდინე ასეთი?—განაგრძო ისევ უფრო სერიოზული კილოთი პეტრემ: მე ხომ პირველი არა ვარ! ვინ არ გინდა ეხლანდელი დროითი არ სარგებლობდეს, გაიხსენეთ თბილისის გმირი მილოვი და მისი კომპანიის ჩადენილი ოინები; გაზეთშიაც წავიკითხე ამას წინად—საინტენდანტოს ერთ მსხვილ მოხელეს რაოდენიმე ათასი მანეთის სახელმწიფო ქონება გაუფლანგავ[ი]ო.

— მართალია, უპასუხე მე: სამწუხაროთ, ჩვენში ბევრია ქურდი მოხელე, მაგრამ სხვისი მაგალითი თქვენთვის რა თავის გასამართლებელი საბუთია. ადრე თუ გვიან ბოროტმოქმედება არ დაიმალება, თავს იჩენს, ისე როგორც თქვენ გიწიათ ამ სიბერის დროს ცოდვებმა, პეტრე თედორეს ძევ!—ჩავუხუმრე პეტრეს.

— სრულიადაც არა, მიპასუხა პეტრემ, ჩვენზე—პატარეებზე მოაქვთ იერიში, ჩვენ გვიძებნიან ბეწვს თვალში—მე თუ გირვანქობით ვიპარავდი სახელმწიფო ქონებას, დიდები ას თუმნობით და ვაგონებით იპარავენ.

პეტრე რუსის ასეთმა პასუხმა ჩამაფიქრა: სულო ცოდვილო, მართალს ამბობს პეტრე რუსი მეთქი. კიდევ ლაპარაკში ვიყავით გართული, რომ ჩვენს ოთახში დაუპატიჟებელმა სტუმრებმა შემოყვეს თავი; ერთმა მათგანმა მრისხანე სახის გამოხატულება მიიღო და ბრძანების კილოთი მიმართა პეტრეს:

— ბრძანებაა, ბ-ნი პეტრე თედორეს ძე №-ჩი დავაპატიმროთ, რადგანაც ის პასუხის გებაშია მიცემული სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედებისათვის. გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ ინებოთ წამობრძანება!

საწყალი პეტრე რუსი შიშისაგან აკანკალდა, სახე სრულიად გაუფითრდა, ხმა ამოუღებლივ მოისხა თავისი გახუნებული შინელი, დაჟანგული ხმალი მოიხსნა და ჩანჩალით გაჰყვა უკან სტუმრებს. ჩავფიქრდი: ვინ იცის რამდენი ამისთანა პეტრე თარეშობს...

გრ. საქარიქედელი

ჩვენ და თეატრი

(იხ. „თ. და ც.“ № 11)

მაშ რა შეადგენს ჩვენი თეატრალური ხელოვნების უპირველეს საჭიროებას?..

ა. დაკვირვებული, ცხრაჯერ გაზომილი და ერთხელ დახაზული გეგმით აშენებული საკუთარი თეატრი, რომელიც, გარეგნული შეხედულებითაც კი, ჩვენი ერის კულტურულ ღირსებას ააშკარავებდეს; **ბ.** გაწრთვნილი, სათანადო ნასწავლი, ხელოვანი მსახიობი, რომელიც ჩვენს ერს ხელოვნურ შემეცნებით განავითარებს—და **გ.** საკუთარი, ეროვნული, ჩვენი ცხოვრების გამომსახველი დრამატურგი, რომელიც თვით განმასახიერებელსაც და მსმენელსაც გონების განვითარების უაღრესობამდე მიაღწევინებს.

აი, ამ სამი საჭიროების სრულყოფა აუცილებელი ნიშანია ჩვენი წინსვლისა. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ამ საჭიროებათა უერთმანეთობა; ყველანი ესენი, ერთად უნდა ჰქმნიდენ ფოკუსს, რომლის მთლიანობა გონების წარმტაცი იქმნება, ხოლო ერთი ასოს მოკლებითაც სასაცილო და სათაკილო საგნად გარდაიქმნება.

და ვინ უნდა იყვეს ამ საჭიროების სრულმყოფელი?..

მტოდნე, გამობრძმედილი, სწავლულ-განვითარებული, საქმის მცოდნე და საქმის გაკეთების მსურველნი,—და არა ის, ვინც ბირობას ბირობად სტოვებს, ვინც „ბევრს დაბარაკობს და ცოტას აკეთებს“, ვინც ერთ საქმეში მომზადებულად ითვლება და ჩვენ მეორის შემძლებლად მიგვაჩნია...

შეჭქმენით ზომა, განლეგნეთ მიდგომილობა, იმოქმედეთ უანგაროდ და, გჯერდეთ, შეუმჩნეველად მიადგებით საწირო კუთხეს, რომლის შემოხვევა მიზანთან მიგიყვანთ... მალე, ძალიან მალე იხრუნეთ თეატრისათვის, დაარსეთ დრამატიული კურსები, შეჭქმენით ეროვნული დრამატურგია და მიდწეული იქმნება „ჩვენი ქვეყნის დვთიური მწყემსი ..“

დიადია, განუზომელია ხელოვნება საერთოდ,— და თეატრალური კერძოდ; დიადია, განუზომელია ხელოვნების მნიშვნელობა მთელი ქვეყნისათვის საერთოდ,—და საქართველოსათვის კერძოდ... ძვირფასია იგი. უფრო ძვირფასი, ვიდრე სინამდვილე“—და თუ მხატვარი რეპინი თავის წერილს ხელოვნების შესახებ ათასგვებს სიტყვებით: „ხელოვნება უუმაღლესი საჩუქარია—შემოქმედისაგან ხალხისადმი მიძღვნილი... მაშ ნუ მოვახდენთ მის პროფანაციას“-ო, მე ეს უმნიშვნელო არსება, კეტუვით: ქართველი ერის მესვეურნო, ეურად იდეთ ეს სიტყვები და, სხვა ეროვნულ საწირაოებსთან ერთად, აღვაკვეთ ჩვენი თეატრიც, —ის ბუდე, რომელშიაც ჩვენი თვითგამორკვევა დაიბადება, რომელშიაც ერი თავის სახეს იცნობს და ცხოვრების უღელს დაუღალავად გასწევს, მიზიდავს. .

მაშ აანჭარეთ ნაბიჯი ნელი... და მოუბოვეთ ხალხს მალამო—წყლულის მკურნელი.

მიხ. კიაზოშვილი

ქარიშხალი

ქარიშხალმა ფრთა გაშალა,
შემოსძარცვა მზეს ღრუბლები;
შეანგრია ცოხის კარი,
გაანათლა ჯურღმულები.
მოიტაცა ძლევის დროშა,
ბნელ კუნჭულში მინაგდები,
და ტანჯულს ხალხს გადასძახა:
მონობაში ნულარ ჰკვდები...

შალვა მოლაშვილი

...ა-შ-ი-რ-ე-ბ-უ-ლ-ს

(ძღვნად სულმდაბალ ჯაშუშთა ხსოვას)

საზიზღარნო!.. კუპი თქვენი
ნუ თუ ისე აღიზინდა,
რომ კაცური შემეცნება
შიგ გველივით ასისინდა?!.
საბრალონო!.. ცხოვრებისთვის
ასე თავი რომ დასდევით ..
და ღირსება უღირსთათვის
წუმპეში, რომ ჩაღრჩევით...
რა გეგონათ, რას ელოდით,
მტარვალთ გულს რომ ახარებდით?!.
რისთვის, რათა!.. ნუ თუ ისე
თქვენ ცხოვრება არ შეგეძლოთ?!.
არ გიჯობდათ ამ მოსწრებას
ნახევარჯერ ტანჯვით გევლოთ?
ცუდ-დამქაშა, კუპის მონავ...
ჭკუა-თხელო, ცრუ-პენტელა,
ჰარამია თქვენთვის ყველა:
დედის ძუძუ, მშობლის ენა.
აფსუს თქვენს ნიპს, თქვენსა ცოდნას
ასე ბილწად მოხმარებულს...
და თქვენს დღეს და დაბადებას
ძაღლის მძორებრ აშმორებულს.

იასე რაჭველი

„უ ი ქ ა ა!“

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 10)

სოსია დღეს კარგ გუნებაზე მისდევდა ურემს და მხიარულად ეგაასებოდა მეურმეს. კნეინაც ლოგინ ჩაფენილ და ხალიჩა გადაფარებულ შუაგულ ურემში ჩამჯდარი, ქოლგით ხელში, ხანდახან გამოელაპარაკებოდა ხოლმე გვერდით მიმავალს სოსიას და მეურმეს.

ყველა მედუქნეებმა და შარაზე მცხოვრებლებმა კარგად იცოდნენ, სადაც მიბრძანდებოდა კნ. მართა ურმით.

— საით, კნეინა, საით? გადმოსძახა მალალ ბექურიდან გადმომდგარმა კნეინა ფოფომ მხიარული ჩითის კაბით და თეთრი მოსახვევით: საით, საით ქა?

— საომრად, ქალო, საომრად.

— ვიცი, ვიცი, მართი, რით ვერ გაათავეთ?.. უი გენაცვა, კინაღამ დამავწყდა, გე-

ნაცვა მართა ერთი სამი აბაზისა გვარჯილა წამომიღე, გაიგე?

ურემი უკვე შორს იყო.

— როგორი გარეცია, პარაშოკი თუ...

— ქალო, გაჰკივა შორს ურემს ფოფომ: გარეცია კი არა, გვარჯილა, ვიჩინასა ვდებ.

— კარგი, კარგი დამზადებულ გარჩიცას წამოგიღებო.

— უი, დამიდგა თვალები, ვერ გაიგო... ქალო, ერთი კიდევ უთხარი იმ დასაბრმავებელ საპოჟნიკს მელქუას, რა უყო ბაშმაკები, რით ვერ დაეკერა. გაიგე?!

— მალე ჩამოვალ, მალე. ურემი უკვე შორს გასცილდა. კნ. ფოფოც მოტრიალდა შინისკენ დაღონებული მით, რომ გვარჯილის მაგივრად გარჩიცას ჩამოუტანს მართა და ისიც სამი აბაზისას.

ურემმა დუქნებს ჩამოუარა.

— არა, წლეულს კი წააგებს კნეინა ოკრუჟნი სუდში, არტემას დიდი ადვოკატი დაუჭერია, ამბობდნენ აქეთ-იქით დუქნებში ურემმა რომ ჩამოიარა.

— არა, კაცო, დაიწყო ისევ სოსიამ, სოფელს რომ გასცდნენ: როგორ შეიძლება თავადიშვილს საქმე მოუგო, რჯულამდის ჩაგყვება და თავისას გაიტანს, ეგენი ჩვენი სისხლისა ხომ არ არიან, სულ სხვა ვარსკვლავზე არიან დაბადებულები, სად ჩვენ, სად ეგენი.

მზე კარგად იყო წამოსული, რომ კნეინა შებრძანდა ურმით ქ. ს—ში. ურემი დააყენებინა იქვე სასამართლოსთან და თვითონ სოსიათი გაემართა იმ დიდს ოთახისაკენ, სადაც „ოკრუჟნი !უდი“ უკვე არჩევდა საქმეებს. სასასამართლოში მრავალს ხალხს მოეყარა თავი. მსაჯულების წინ ირეოდნენ ფრაკებში გამოწყობილი ქალაქიდან მოსული „ადვოკატები“. ვინ იცის, მათში რომელია არტემას ადვოკატი, გაიფიქრა კნეინამ. ცოტა გული გადაექან-გადმოექანა. ისინი ნასწავლი ხალხია, როგორც უნდათ ისე გადააბრუნებენ საქმეს. მაგრამ კავები გაისწორა, გული მოიმაგრა. მას სწამდა თავის სიმართლე ამ ჭაჭათხლის საქმეში. სოსიასაც არ ეპაშნიკა არტემას მოუსვლელობა, იგი არსადა სჩანდა. ეტყობა ისეთი ადვოკატი დაუჭერია, რომ თვითონ მოსვლაც არ დასჭირდება. **ილო**

(დასასრული იქნება)

† გიორგი გძელიშვილი

(გარდაც. წლის თავის შესრულების გამო)

ვეჭილი და მწერალი, რომლის თაოსნობითაც „ახალმა კლუბმა“ თითო შაურიანი გადასახადი დააწესა ქართული თეატრის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ. ამ ჟამად შეკრებილია ორმოც ათას მანათამდე-

დავით კეზელი

(იგივე დავით სოსლანი, ზოილი)

80—90-იან წლების სახელგანთქმული პუბლიცისტ-ფელეტონისტი. გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო.

საგანთიადო

ცის კიდურზე ღამე სულს ჰლევს, ღამე ტყდება, კვდება...
მთებზე გაშლილს ღრუბლების ზღვას ცეცხლი ეკიდება.
ქარტეხილი ხუნდებს ამსხვრევს... ღამის ბორკილს ლეწავს
და წამებულს ჩემს სამშობლოს დილა უთენდება.
მზის მაყრები მთებს მოადგნენ, ცაზე დროშა ბრწყინავს,
ხელი რაშით მოჰქრის გმირი—ბრძოლის ჰანგი გრგვინავს...
ამირანი აშვებულა მახვილ-ამოწვდილი,—
მონობა კი ფეხქვეშ გდია და საბრალოდ გმინავს...
ცის კიდურზე ღამე სულს ჰლევს .. იპარება... ჰქრება...
ნისლი სწყდება მთის მწვერვალებს,—ღელეებში წვება...
ბრძოლა ისმის... ბრძოლის ცეცხლში—ბრძოლის დროშა ელავს...
და ამ ცეცხლში ჩვენის ერის ბედი იჭედება...
მივეგებოთ მომავალს ღმერთს... სიყვარულს, ერთობას...
წმინდა დროშა გაუშლია—დღემდის ხმამკვდარ გრძნობას...
გაუმარჯოს—თავისუფალს ახალს საქართველოს...
გაუმარჯოს ბრძოლის სისხლში შობილს ხალხთა ძმობას...

ილ. მოსაშვილი

ნიჭის ძალა

იოსებ დავითაშვილის ცხოვრებიდან

სამ სურათად

(დასასრული, იხ. „თ. და ც." № 12-13)

სურათი მესამე

(თელავში: პატარა ოთახი. ტახტი. ხის სკამები. მაგიდა.)

I

იოსებ, მარტო.

იოსები. (ლოგინში წევს. ხშირად ოხრავს და კვნესის. ლიტრას გააჭანჭყარებს). წყალიც აღარა დგას... ყველამ მიმატოვა... ყველამ დამივიწყა... აღარავინ მოდის. . ახ, წყალი... (ლიტრას კიდევ გააჭანჭყარებს) სახლის პატრონმა რაღად დამანება თავი, როცა ამ დღეში ვიყავი... მაგრამ რა იცოდა იმ კაი ადამიანმა, თუ ავადმყოფობა ასე უცებ დამრევდა ხელსა .. იმას ეგონა, მომხედავდა ვინმე... (ლიტრას კიდევ წაავლებს ხელსა) ეჰ, ნეტა პატარა ბიჭი მაინც არ წაეყვანა თანა... ღმერთო, მილხინე! ასე უპატრონოდ ნუ ამომართმევ სულსა... ახ, ერთი წვეთი წყალი,.. ორი დღეა, პურის ნაწილი არ უნახავს ჩემს კუჭსა.. ვკვდები მშიერ-მწყურვალი... უნუგეშო... დაუტირალი... მშვიდობით სიყრმის იმედებო!.. ჩემო სამშობლოვ!.. შენი სიყვარულით გაუმაძღარი წავალ და აღარ დავბრუნდები!.. ახ, წყალი... გულ-მუცელი მეწვის შიმშილითა და წყურვილით.

II

იგივე და **ვანო**.

ვანო. (შემოვა, უცებ შეკრთება). იოსებ რა დღეში გხედავ? (მივა და გულზე დაეკონება) ჩემო იოსებ! ჩემო გონებაში ჩამგდებო! მითხარ რა ამბავია ჩემ თავსა?...

იოს. (ხელს დაუჭერს. გული უჩუყდება). ვარდენ! ჩემო ვარდენ! იცნობ კიდევ შენს უილბლო იოსებსა? აი, რა დღეში ჩავარდი: ოცდაჩვიდმეტი წლისა შევსრულდი და კიდეც ვათავებ სიცოცხლესა... ეს იყო ჩემი ბოლო.. გახსოვს, დოესში ბიჭები რომ ვიყავით, ქალბატონმა და მისმა ქალმა წიგნების კითხვაზე რომ მოგვასწრო?

ვანო (ცრემლებს იმაგრებს) მახსოვს... შენ რომ არა ყოფილიყავ, მე ეხლა ადამიანი არ ვიქნებოდი...

იოს. ის დრო სჯობდა ჩემთვის ვანო. საიდან მოხვედი ასე მოულოდნელად? ალბად ღმერთმა სულ არ გამწირა...

ვანო შემთხვევით მოვხვდი თელავში. მითხრეს: იოსები ავად არისო. მაშინვე გამოვიქეცი. არ მეგონა თუ ლოგინში დამიხვდებოდი... ვინ მოგიყვანა აქ? აკი თბილისში გქონდა ბინა?

იოს. საქმის ძებნამ ამომართვა, ვანო სული... ხომ იცი, იმ თავითვე ბედი არა ქონდა... მირჩიეს: თელავში ბევრი სამუშაო არისო... წამოვედი... გავცივდი.. მოუვლელობამ ამ დღეში ჩამაგდო... (დაიდლება დაპარაკით.)

ვანო ეხლა ვინ გივლის? მითხარი ექიმი გწამლობს თუ არა?

იოს. არავინ... მარტო ვარ .. ღარიბი დავიბადე, ღარიბივე ვკვდები... (ბალიშის ქვეშიდან წვალებით გამოიღებს ფულს) აი ეს სამი კაპიკი არის სულ ჩემი ცხოვრება,.. რაც თბილისიდან გროშები ჩამომყვა, ავადმყოფობაზე შემომეხარჯა .. როცა გამომელია, აღარავინ მომეკარა... მშიან... მწყურიან... სირცხვილით ვერ მითქვამს.,. (ხველა აუარდება).

ვანო (შეწუხებული წამოდგება). ვაიმე შენ ჩემო თავო... გამაგრდი, შენი ჭირიმე, ამ საათში ყველაფერს მოვიტან...

იოს. (ხვეწნით). ვ ნოჯან! ჯერ წყალი მიშოვნე, შენი ჭირიმე... ყელი მიშრება...

ვანო (დაფაცურდება). ეხლავე შენ გენაცვალე! (ლიტრას აიღებს და გაიქცევა).

იოს. (სუსტად). გმადლობ, შენ უფალო, რომ უპატრონოდ არ მომკალი... იმედი და სასოება თავის დღეში არ უნდა დაჰკარგოს კაცმა... რა მამაგონებდა, თუ ამდენი ხნის უნახავი ვანო მომაგნებდა უკანასკნელ წუთებში...

III

იგივე და ვანო

ვანო სიჩქარით შემოიტანს წყალს, ჭიქაზე დაასხამს და მიაწოდებს). ნელა-ნელა დალიე, შენი ჭირიმე! არ დაიღალო... ღმერთი მოწყალეა... ნულარ გეშინიან... ეხლავე ექიმსაც მოვიყვან... (აქეთ-იქით სიბანს უფურთვნის).

იოს. (ხარბად მოიწაფებს ჭიქას შემდეგ უკანვე მიაწოდებს). განათლდეს შენი მშობლის სული. . (მოისმის ხმაურობა).

IV

იგივე, ვარდენ და ვასო

ვარდენ (შემოვა). იოსებ,ჩ ვენო იოსებ! რა დაგემართა კაცო?

ვასო (მაქროს უკან მოჰყვება). განა ეგრე ხარ, კაცო, რომ ლოგინში წევხარ? ავადმყოფობამ როგორ გაჯობა! (აკოცებენ და ახლო მოუსხდებიან).

ვანო (ორივეს ხელს ჩამოართმევს) დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე! მე ექიმის მოსაყვანად მივდივარ... (გავა).

იოს. (ნასიამოვნები). მადლობა უფალს, რახან კიდევ მაჩვენა თქვენი სახე... ეხლა სიკვდილი აღარ მიმძიმს...

ვარდ. (ანუგეშებს), ნუ ამბობ ეგრე, იოსებ! სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს.. შენი სიცოცხლე ჯერ კიდევ დიდხანს ესაჭიროება ქვეყანას... შენგან სწავლის გზაზე დაყენებული მეგობრები გაფაციცებით ეძებენ შენს ლექსებსა და მოუთმენელად ელიან კიდევ ბევრ ახალსა...

იოს. (წახალისებული დონეს მოიკრებს. ნაადის ქვეშიდან გამოიღებს პატარა ქაღალდს). აი, ეს ლექსი ამ ოთხი დღის წინად დავწერე. მერე კი კალამი ველარ ვ ხმარე. თანდათან ღონე გამომელია... თუ შევიძელ, მინდა ერთი კიდევ წავიკითხო...

ვარდ. დაიღლები, იოსებ! მომეცი მე წაგიკითხამ.

იოს. არა, მე თითონ მინდა წავიკითხო.. ასე მესიამოვნება... სულ ერთია თავს ტყუილად-ლა გაუფთხილდები... (სუსტი ხმით კითხულობს).

> აწ განისვენე, მშვიდობით,
> შენ ჩემო სუსტო კალამო,
> ბოროტი გულის გამგმირო,
> მაგრამ კეთილის მალამო!
> გამჭირების ცხოვრება,
> გზიდარ და მწარედ ვსტირის,
> ბევრი რამა ვსთქვი საგრძნობი,
> მაგრამ მსმენელი ძვირია. (ხველა აუვარდება).

ვარდ. (ჯამს მიაშველებს). რა იყო, შენ გენაცვალე იოსებ! აკი გითხარი, აჰაა, დაიღალე... გამოაფურთხე!

ვასო. შე დალოცვილო! იმ თავიდანვე სულ სხვების სიამოვნებისათვის იკლავ თავს... მე წაგიკითხავდი, რა იყო...

იოს. (გულს იმაგრებს). ნუ გეშინიანთ.. არა მიშავსრა.. (ბალიშზე მიესვენება).

V

იგინივე, **ვანო** და **ექიმი**

ვანო. (ექიმს მოუძღვება). მობძანდით, თქვენი ჭირიმე! ოღონდ ჩვენი ძვირფასი იოსები მოგვირჩინე და სულს არ დავიშურებთ თქვენთვის..,

ვარდენ და **ვასო** (ფეხზე წამოდგებიან). ჰო, თქვენი ჭირიმე! გეხვეწებით!

ექიმი (იოსებს ჯერ შუბლზე ხელს დაადებს, შერმე მაჯას დაუჭერს, შემდეგ მიდით გულს გაუსინჯავს). რა დაგემართა? ყმაწვილი კაცი ყოფილხარ? ავადმყოფობა როგორ შეიძლება.. მადა ხომ კარგი გაქვს?

იოს. (სუსტად) არაფერი მიჭამია..

ვანო (უცებ მოიგონებს). ვაიმე აკი გადამავიწყდა! სიჩქარით სულ ავირიე... ვასო! გაიქეცი, შენი ჭირიმე! ორი დღის პურ-უჭმელი არის.,. ეგები იშოვო რამე.. (ჯიბეზე ხელს გაიკრავს).

ვასო (დაფაცურდება). მეტყოდი რაღა კაცო! ფული განა მე არა მაქვს... ვაიმე იოსებ! (გაკვარდება).

ექიმი (იოსებს). ნუ შეგეშინდებათ... წამალს გამოგიწერ და უკეთ გახდები.. (უბიდან ქაღალდსა და კრანდაშს ამოიღებს, მაგიდასთან მიეკა და დასწერს შემდეგ ვარდენს და ვანოს გაიხმობს ცალკე) წამალი დავწერე, მაგრამ გვიან ღა არის... დღეები უკვე დათვლილი აქვს... გულში დიდი ხნის დარდის მუწუკი გასჩენია... გაციება და შიმშილიც ზედ დართვია... პატარა მიზეზი და... გათავდება კიდეც... წამალი მაინც ჩაყლაპეთ დილა-საღამოს, რასაც შვებას არ აგრძნობინებს, არაფერს ავნებს. (ქაღალდს მისცემს).

ვანო (ჩამოართმევს). ვაიმე იოსებ! ჩემო ამაგდარო იოსებ! რატომ ადრე არ მოგხედე... (გული აუჩუყდება. ექიმს ფულს მისცემს).

ექიმი შეიძლება ოთხლო-კვერცხი აქამოთ, რძე და ბულიონი ცოტა პურით, მხოლოდ უცებ არა, რადგანაც მშიერი ყოფილა... (მიდის).

ვარდ. (შეაუფენებს)ი მისამართი გვითხარი, თქვენი ჭირიმე, თუ შეიძლებოდეს, იქნება კიდევ დაგვჭირდე..,

ექიმი. ბაზრის თავში, ორ სართულიანი სახლი. თელავში ექიმი მარტო მე ვარ... მშვიდობით! (გავა).

ვანო (შაქრის). აფსუს რა კაცი გვეცლება ხელიდან!

ვარდ. (შეწუხებული). ვაიმე, იოსებ! ვაიმე, იოსებ!.. მომეცი ქაღალდი, წავალ წამლის მოსატანად. „ცდა ბედის მონახევრეაო“. იქნება ღმერთმა მოგვხედოს...

ვანო (მისტეს). აბა მაშ მალე, შენი ჭირიმე, მე მანამ აქ ყურს ვუგდებ...

იოს. (თანდათან კვნესას მოუმატებს). წყალი... წყალი ჩამაყლაპეთ, თქვენი ჭირიმე...

ვანო (სასწრაფოდ იეშვედება). ეხლავე შენ გენაცვალე! (დაუსხამს და მიაწოდებს).

ვარდ. (დაბნეული ეხმარება). როგორა ხარ, იოსებ! შენი ჭირიმე! ყოჩაღად იყავ.,. ვასოც ეხლავე მოიტანს საჭმელსა...

იოს. წამოიწევს). ახლა აღარაფერი მინდა... წამომსვით... ესე გვერდები მეტკინა... პირი კარებისაკენ მქონდეს... აღარა მშიან... ისე რაღაც მინდა... ყველას ნახვა მინდა...

ვანო (ჩუმად). ვაიმე! სიცხე მისცა, მგონი... ძალიან დასუსტდა...

ვარდ. ვისი ნახვა გინდა, შენი ჭირიმე? იოსებ? გვითხარი?

იოს. ყველასი... ყველას ნახვა მინდა... (მოისმის გარეთ ხმაურობა).

VI

იგინივე, **გივი** და **სალომე**

გივი (თავს შემოჭყოფს) შეიძლება მოსვლა?

ვანო (მიეგებება). მობრძანდით! მობრძანდით შეიძლება...

სალ. (გივს უკან მოსდევს). შვილო იოსებ! რა დაგემართა? (ახლო მივა).

იოს. (მოუდოდნელ სიხარულით უდონოდ შეიძვრის) ძალო... დედა! (წამოიწევს, მაგრამ წელს ვერ აიტანს).

სალ. (გულში ჩაეკვრება). შვილო იოსებ! შვილო, იოსებ!

იოს. მომეხვიე! მომეხვიე! (თანდათან კინწი მისწვდება).

სალ. (შეშინებული). ვაიმე! გული ეფე-რება!.. მიშველეთ! წყალი მომაწოდეთ!..

ვანო (საჩქაროდ მიაშველებს). ცოტა ჩაა-ყლაპე.. ღმერთო, გვიშველე, შენი ჭირიმე!

ვარდ. იოსებ! შენი ჭირიმე!.

გიგი (მონანებული ერთ ადგას დგას და ჩუმად ტუტუნებს). ღმერთო, მამიტევე მე ცო-დვილსა...

VII

იგინივე და **ვასო**

ვასო (ქაქანით შემოვა. სავსე ხელსახოცი უჭირავს). ყველაფერი მოვიტანე... (შეშინებუ-ლი) როგორ არის იოსები?

იოს. (ოდნავ გაახელს მიბნედილ თვალებს, ყველას გადახედავს და შემდეგ სალდომეს მია-შტერდება). დედა... დე...და...

სალ. აქა ვარ, შვილო, იოსებ! მიშვე-ლეთ! კვდება!.. (ყველანი ტანჯვით დაჭყურებენ).

ვასო (მწარედ). როცა ქამის თავი აღარა აქვს, მაშინ მოუტანეთ ყველაფერი.. ეს იყო ჩვენი დახმარება!.. (ხელსახოცს დაახეთქებს ძირს).

ვარდ. (ტირის). ვაიმე, ძმაო, იოსებ! ჩვენო გაზაფხულის მერცხალო! სად მიფრინ-დები? ნუ გვანებებ თავს...

ვანო (მწუხარედ). გათავდა... ალალი იყვეს, ძმაო იოსებ, შენი ამაგი ჩვენზე...

ვასო ჩვენ-კი დამნაშავენი ვართ შენ-თან... გვაპატიე, ძმაო იოსებ! მშვიდობით! (ყველანი ტირიან).

ფარდა ნელ-ნელა ეშვება

გიგო თეძმისხეველი

დიდება შენდა!

შ ე ს ხ მ ა.

ძღვნად

რუსეთის რევოლიუციის გმირს კარლო ჩხეიძეს.

I

დიდება შენდა, რომ შენ ხარ სფინქსი...
ქვეყნის ღმერთ-ხატად აწ დასახული,
მთლად ქართველობის, კაცობრიობის
დიადი შვილი, გენია რთული,
ფრიად შემკული...
და უშიშარი ხმა, ენა მტკბარი,
მკვიდრი, მედგარი, შეუპოვარი,
მტრის რისხვა, მოყვრის ძმა-მეგობარი,
ტკბილ-მოუბარი.

შენმა მრისხანე გამოლაშქრებამ
სათათბიროში ხშირ ქადაგებამ,
ნელნელა ძირი გამოუთხარა,
ბრიყვი მთავრობა, ტაკი-მასხარა...
დაასამარა.

ტახტი მტარვლისა, მეძავთ მრავლისა...
გაანადგურა, გაანადგურა, გაალამტვერა,
პრესტიჟი დასცა დიდის მთავრისა,
და მეფე „მარტი“, ცუღლუტი ზანტი,
ააყროყინა, როგორც დიდყურა,
უხეში, ურა.

დედოფალს ხელში მისცა ტარიგი,
ვირუბოვისას ის თადარიგი...
რაც კურთხევითა რასპუტინითა,
და მის წამყენთა წალკოტ-მტილითა,
„შიშტრ-კიტინითა“...

დაუგვირგვინა ავლადიდება,
რაც დღეს ერთ კატას აეკიდება,
და მათს გვარეულთ, აშლილთ არეულთ
მათი მოდგმისთვის გამოადგება...
აღარ შერცხვება.

მეფის მინისტრებს, ნაცად „ვირისტებს“,
ბედისა წერას რაც უგვირიშტებს...
ტოლ-ამხანაგთა დამქაშ ამქრებში,
პეტრე და პავლეს ციხის კარებში,
როგორც ძარებში...

შემწყვდეულ ძერებს, სისხლისა მსმელებს,
ვითარ დაგეშილ ცოფიან მგელებს,
და მათ მოაზრე თანამშრომელებს,
ტურა-ძუებსა და კუდა მელებს,
პოლიციელებს!..

ვაცად ვაცადებს, ბოტებს ნაცადებს,
და მათთან ერთად ზოგ დიდ თავადებს,
ოლქებისა და მაზრების მმართველთ,
ჯაშუშთა ბრბოებს მოძმეთა მცარცველთ...
ყველას სწვდა მისი საქმე და ენა,
დააწყევლინა დღე და გაჩენა.
„ჩინორდენები“, „ოპელატები“,
ნაძარცვ-ნაგლეჯი შენაძენები,
სახლ-ბაღ-მტილები...

ოხრად არჩინა, არც-კი აჩივლა
კატის კნუტივით აწკნავლ-აწივლა...

და დიდ „სანოვანთ“, ძლიერთ, ძალოვანთ,
და მათს ყოყლოჩა თავ-მაღალოვანთ,
გარყვნილ ბანოვანთ...

კისერი დაბლა დაახრევინა—
ცოცხლად სამარე გაათხრევინა,
და შიგ ჩაწოლილთ, ჭკუა აწონილთ,
სიცოცხლის წამნი დაათვლევინა,
ზოგს თავ-საკლავი, შხამსაწამლავი,
თავის ხელითვე დაალევინა.
და აზღვევინა...

ის, რაც უმეცართ, მლიქვნელ-აბეზართ,
მრუდ და მართლისა მტანჯავ მაბეზართ,
სიბილწე ჰქონდათ ნამოქმედარი,
ნალაყლაყევი და ნაყბედარი...
დასდო საზღვარი.

ვაშა, ნიკოლოზს—ჩხეიძე-კარლოს,
ვაშა ქართველთა ტურფა სამშობლოს,
რომელმაც იგი დაავაჟკაცა...
გააგმირთ-გმირა გაადიდკაცა,
ისე, რომ მთელი ქვეყნისა ერი,
დიდი, პატარა, სუსტი, ძლიერი,
დიდი რუსეთის მკვიდრ ხალხთა შორის
რევოლუციის მეთაურთ სწორის
უპირველესს როლს გაკუთნებს შენა,
რამაც ძლიერ გყო და დაგამშვენა
და შენ ასეთსა ქვეყნისა მხსნელსა...
რევოლუციის სულის ჩამდგმელსა,
მთელი ქვეყანა შეგტრფის, შეგნატრის,
და შენსა მშობელს, აკვნისა მრწობელს,
ყველა კეთილი დედა შენატრის.

II

დიდება შენდა, მაშვრალთ ძმობილო,
პატარა ერის კეთილშობილო,
ეს შენი დიდი საქმე საჭირო,
მეტად საგმირო...

მაგრამ თუ შენა, შენის ერისა,
სული მშობლური აღარ გიდგია,
და მისთვის თუ რომ შენი დიდება,
შენი უნარი არ გაგიყვია. .
არა გითქვია...

შენსა დიდებას, ქებათა ქებას,
ან გენიოსურს შენს მოქმედებას,
რას აქნევს შენი პატარა ერი,
თუ ის იქნება დედნაცვლის გერი,
ობოლოხერი...

ჩვენ, ქართველთათვის, წამებულთათვის,
რა დიდებაა, ან რა ნუგეში...
თუ ჩვენი ტურფა, სამშობლო მხარე,
ისევ დარჩება მონის უღელში?..

მაშინ ვინ რა სთქვას, შენი დიდების,
ვინა ჰყოს ძეგლი სახელწოდების?..
ხომ იცი ხალხის ანდაზა ბრძნული,
ყურად საღების სიტყვებით თქმული...
ნეტავ რას აქნევს შვილსა მშობელი,
გინდ მას ის ესვას ქვეყნის მფლობელი,
თუ კი მონაა სამშობლო მისი
მისი აღმზრდელი, ერი მშობელი...

იასე რაჭველი

კვლავ აყვავილდა

უწინ ვსტიროდი და ჩემს ლექსებს ცრემლი სცვიოდა,
სატრფოს ველოდი—ის შორს იყო არ მოდიოდა;
ფიქრით-ეჭვებით სული ჩემი იხუთებოდა,
და შავ-დღიანსა სანუგეშო არსით მესმოდა.,.

***

აწ კი დაემხო მტარვალთ ძალა და ბოროტება,
განთავისუფლდა ჩემი სატრფოც ცის-ფერ თვალება;
და დღეს, ვით უწინ, მას ვუმღერი, მისთვის ყღერს ქნარი
კვლავ აყვავილდა სიყმაწვილის ვარდი დამჭკნარი.

კ. ძიძაძე

საჭიროა „სორაპნის“ სტამბაში გამოცდილი

ასოთ ამწყობნი

კარგ ოსტატს მიეცემა ჯილდოთ

100—120 მანეთი თვეში

სახალხო თეატრის ისტორია

(მასალები)

1901 წ. ენკენისთვიდან სექციის წევრებად ითვლებოდენ მარ. დემურია, თამ. ქუჩუკაშვილი, იოს. ბესელიძე, ოსიკო ბარათაშვილი, ნ. გოცირიძე, კოლა ქართველიშვილი, გიგო რცხილაძე და მიშა თუმმელაშვილი. სექციამ თავისთან ერთად სამუშაოდ მიიწვია ქ-ნი სოფიო რომანიშვილი, თამ. ჯიჯავაძე, ალ. სოლოლაშვილი და კოტე ხახანაშვილი.

ამ სეზონში სულ გამართა 26 წარმოდგენა, რომლის რეჟისორათაც იყვნენ ასიკო ცაგარელი, ს. სვიმონიძე და ნიკო გოცირიძე. ამავე სეზონში სექციამ 21 თებერვლიდან რკინის გზის თეატრში გამართა სულ 4 წარმოდგენა, ავლაბარში თბილისის პოლკის ყაზარმაში—2 წარმოდგენა. ამ სეზონში მონაწილეობდენ:

ქ-ნი აფხაზიშვილი, ანდრონიკაშვილი, ბახუტოვი, გაბუნია-ცაგარელი, გაბიტაშვილი, გუნდელი, კიკნაძე, სოფიო ლომოური, ლეჟავა, მამრაძე, მლივანი, მახვილაძე, მესხიშვილი, სოფიო რომანიშვილი, საფაროვ-აბაშიძე, ჩაჩიბაია, ჩერქეზიშვილი, ჯიჯავაძე, ქუჩუკაშვილი, ჯაბაური, ჯავახიშვილი, ხერხეულიძე, სოფიო ციციანოვი. დათიკო აწყურელი, გიორგი ანანიაშვილი, ბილანიშვილი, ბარათაშვილი, ბებიაშვილი, ბეგლარიძე, ბელიკურაშვილი, ნიკო გოცირიძე, გუნია, გილაშვილი, გელაშვილი, ივანიძე, ალ. იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილი, იორდანოვი, კალანდარაშვილი. მიშა თუმმელიშვილი, მირიანაშვილი, ნახუცრიშვილი, სოსო რომანიშვილი, რევაზოვი, სვიმონიძე, სხირტლაძე, სუხიშვილი, სალაყაია, არჯეველაძე, ყანჩელი, ყალაბეგაშვილი, ყანჩაველი. ყიფიანი, ჩაგუნავა ისაკა ძნელაშვილი, კოტე ხახანაშვილი, ხერხეულიძე, ხავტასი, ციციანოვი და ჟღენტი. ამ სეზონის წარმოდგენაზე დაესწრო 7 380 კაცი. ბილეთების შემოვიდა სულ 543 მ. და 87 კ. ხარჯი—550 მ. და 63 კაპ. ისე რომ ეს სეზონიც ჩვეულებრივ ზარალით გათავდა.

ამ ზარალებისა გამო, განსვენებულ მარიამ დემურიას თაოსნობით სექცია მართავდა ქართულ თეატრში შემოსავლიან წარმოდგენებს, რომლითაც ისტუმრებდნენ ავჭალის აუდიტორიის ვალებს.

ამ სეზონში სუფლიორად იყო სამსონ ტოროშელიძე, ხანდახან ესმარებოდა ბერეჟიანი და თუმმელაშვილი. სცენარიუსად იყო სანდრო ყალაბეგაშვილი.

გიორგი ჯაბაური

ქალთა შორის

ოზურგეთში კვირას, 20 მარტს, გურულ ქალებს განზრახული ჰქონდათ მოეწვიათ პირველი საზოგადო დამფუძნებელი კრება. მაგრამ, ვინაიდან კრებას აუარებელი ქალი მოაწყდა, როგორც ქალაქ ოზურგეთიდან, აგრეთვე მახლობელ სოფლებიდან, კრება მიტინგად გადაიქცა. წითელი დროშით, მარსელიოზის სიმღერით 3000 ქალმა გასწია ქალაქის ძველ ბაღისკენ. ბოლოს ქალებს კაცებიც შეუერთდენ... პირველად ტრიბუნაზედ ავიდა ნ. თოთიბაძისა, მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და სთხოვა თავმჯდომარის დანიშვნა. თავმჯდომარედ აირჩიეს ლიზა ნაკაშიძე, მდივნად ნ. თოთიბაძისა. სიტყვები წარმოსთქვეს, ნუც. ჯაყელმა, სათო მგელაძემ, მისა საბაშვილმა, ყარ. ქარცივაძემ. ბოლოს აირჩიეს კომისია (ან. ჭყონია, ან. მგელაძე, ნ. თოთიბაძე, პელო ქარცივაძე, ცაცა წუწუნავა). აღსანიშნავია ერთი გარემოება, რამაც გამოიწვია დამსწრე საზოგადოების უკმაყოფილება: თავმჯდომარეს სია ეჭირა ხელში და თვით ასახელებდა კანდიდატებს. როცა საზოგადოების ნაწილმა შენიშნა, თავმჯდომარემ ეს უპასუხა: „არსებულ ქალთა წრის წევრმა გადმომცა ეს სია". ოზურგეთში ქალთა წრე არ არსებობს და ეს წევრი საიდან გამოიჩიკა?!! სასურველი იყო თვით კრებას აერჩია კომისია და არა რამოდენიმე პირს...

გურული ქალი

შეკითხვა

1914 წ. „სანალხო ფურცლის" მე-142 ნომერში თვითონ განაცხადეს და ჩვენც ვიცით, რომ სასტუმროს „იარი"-ს მსახიობ ქალ-ვაჟთ შორის ფულს აგროვებდენ დამწვარი თეატრის სასარგებლოდ ივანე სურგულაძე, ნიკოლოზ ლეკვიშვილი და ვასილ კირვალიძე. სასურველია ვიცოდეთ, რავდენი შეგროვდა ან რა ბედი ეწია მათგან შეგროვებულ ფულს ამდენი ხანის გამავლობაში.

„იარი"-ს ყოფილი ამხანაგი.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის გაზეთი

„ხალხის ერთობა“

ივანე გომარელის მახლობელი **და** მუდმივი მონაწილეობით, პარტიულ მუშაკთა თანამშრომლობით და **იოსებ იმედაშვილის** რედაქტორობით. გაზეთი ჯერ ხნობით გამოვა კვირაში ორ-ჯერ: **ორშაბათობით** და **ხუთშაბათობით** გაზეთის მთავარი მიზანია ავტონომისტების გაერთიანება, ერთობის განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

გაზეთის ფასი: წლის ბოლომდე 5 მან., თითო ნომერი-5 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1) ფოსტით: Тифлисъ ред. „Халхис Эртоба“—Іос. Имедашвили (мадатов. ост. № 1).

რედაქტორ გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

ИЗДАЕТСЯ ДА ВСКОРЕ ВЫШЕ ГОВОРИЛ

УЧЕБНИК ИТАЛЬЯНСКОГО ЯЗЫКА

ПРОФЕССОРА ИОСЕБА ИМЕДАШВИЛИ

Составлен. **ИОСЕБ ИМЕДАШВИЛИС** миэр, второе исправленное. Изданный, хорошо переплетенный 2 м. 50 к. заказ можно: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба“—Іос Имедашвили.

ახალი კლუბი

1 კვირის პრო. აპრილის 9 16

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.
ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50
სამშაბათი — საოჯახო საღამო
ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.
ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე
შაბ. — საოჯახო საღამო
კვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.
დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ საშუალ. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ორშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.
სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.
ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა,
ხუთშაბათი — ოპერეტა რუსულ ენაზე.
პარასკევი — საოჯახო საღამო
შაბათი — რუსული წარმოდგენა
კვირა — სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა—კონცერტების — სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ ს.

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო სალიტერატურო, სამახტვრო კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მესუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

ა. ალაქის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრამისეული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დაინახშრებული და ხალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, ამხატვრები

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში დიდს 8 მან. ნახევარის წლითც 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყოველ 15 კაპ ფოდის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხუთის მოწერის დროს 3 მ, 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპანის“ **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უადა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

დროებითი მთავრობის დადგენილების თანახმად გამოშვებულია

თავისუფლების სესხი

1917 წლისა

ამ სესხის ობლიგაციების ღირებულებაა 50, 100, 500, 1000, 5000, 10,000 **და** 25,000 **მან. წლიურად შემოაქვთ** 5 **პროც., რაიც წელიწადში ორჯელ იძლევა, ერთი** 16 **მარტს, მეორე** 16 **ენკენისთვეს.**

სესხი გამოშვებული იქნება 5 წ. მისი ობლიგაციების გამოცემა მოხდება ყოველ წელს, 1922 წლიდან დაწყებული.

სესხზე ხელის მოწერა დაიწყება 6 აპრ.-დან და გასტანს 31 მაისამდე 1917 წ.

სახელმწიფო ბანკების კანტორებსა და განყოფილებებში,
მუდმივ და საველე ხაზინებში,
სახელმწიფო შემნახველ კასებში,
წვრილი კრედიტის დაწესებულებებში,
კერძო კომერციულ ბანკებში,
ქალაქის საზოგადო ბანკებში და წვრილ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში და იმ საერობო სამმართველოებში, რომელთა შესახებ ცალკე იქნება განცხადება.

ხელმოსაწერი ფასებია

85 მან. 100 მან,

რომელთაც დაერთობათ ამ წლის მარტ. 16 პროცენტები.

ობლიგაციის ღირებულობა—ფასი, ერთ დროულად უნდა აქმნეს გადახდილი. იმ კვიტანციების (სანამ ნასყიდი ობლიგაციები ჩაბარდება მყიდველს) და აგრეთვე ობლიგაციის საშუალებით შეიძლება სესხის აღება. ამ შემთხვევაში, კვიტანციები ან ობლიგაციები უნდ-წარედგინოს იმ სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, სადაც ასეთი ოპერაციები—(სესხი) სწარმოებს, და მიეცემა ობლიგაციის ღირებულობის 75%, წლიური $5\frac{3}{4}$% შეღავათიანი პროცენტით, რომელიც, ესე იგი, სესხის აღება, განთავისუფლებულ იქნება ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადებისაგან, რაიც საზოგადოთ შემოღებულია მიმდინარე ანგარიშით და თამასუქით—ვადიან სესხისა.

ადებულ სესხის განაღდება შეიძლება აგრეთვე 5% სავალდებულო სახელმწიფო ქაღალდების წარდგენით წლიურ 5% გამოკლებით.

შეძენილი ობლიგაციები მიიღება შესანახად სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, უფასოდ: სამაგიერო დოკუმენტი, რომელიც მიეცემა ობლიგაციის პატრონს, საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლებულია. (8—651—1)

რედაქტორ-კომპანიელი იოსებ იმედაშვილი სტამბა „ხორაპანი“